№ 158
სამშაბათი, 26 ივლისი 1894

1877—1894

№ 158
სამშაბათი, 26 ივლისი 1894

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთი დასაბარებლად:**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ალექსანდრე და კონსტანტინე ივანეს ძენი ბაქრაძენი, მარიამ ივანეს ასული ჩილაევისა და ნატალია ივანეს ასული შიუკოვისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა დედისა თვისისა სიდონია იოსების ასულის ბაქრაძისას, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა სცენ პატივი და დაესწრონ სამშაბათს, 26 ამა ივლისს, დილის 9 საათზედ განსვენებულის გვამის გამოსვენებას საკუთარის სახლიდამ (მთაწმიდის მოედანზედაა) ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში და იქიდამ—დამარხვას პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ.
(1—1588—1)

**„ივერია“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## დეპეშა

23 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია, რომ მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტი და აგრეთვე შტატი ამ ინსტიტუტისა დაარსებულ იქმნაო.

**მადრიდი.** იაპონიის სამხედრო გემი „Don Jouan“-ი გაგზავნილია კორეს, რომ თვალ-ყური ადევნოს ჩინელ-იაპონელთა ფლოტის მოქმედებას.

**ლონდონი.** იაპონელებმა შეკრიბეს მთელი თავისი ძალა კორეს და ხელახლად დაამარცხეს ჩინელნი.

**შანხაი.** ჩინელთა ჩრდილოეთის ესკადრა პეანგისა ისევ უკან დაბრუნდა, იაპონელებს არ შეჰბმია.

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტრო იწვევს რკინის გზისა და მეურნეობის წარმომადგენელთ, რათა მოილაპარაკონ 300 სადგურზედ პურის ბეღელთა გამართვის შესახებ.

24 ივლისი

**პარიჟი.** შორეულ აღმოსავლეთის ესკადრას ებრძანა დაიცვას კორეს ნავთ-სადგურებში მცხოვრებ ფრანგთა ინტერესი.

ჩინეთის მისსია ლონდონში ხელ-შეკრულობასა სდებს იმის შესახებ, რომ ჩინეთს მოუმზადონ დიდ-ძალი ზარბაზანი და ტყვია-იარაღი.

ხუთ საათის გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ იერიშით აიღეს ჩინეთის სიმაგრენი შანხონის ქვემოდგან, აზანს ახლო; 2,800 ჩინელთაგან მოკლულ იქმნა 500 კაცამდე; იაპონელებს მოკლული ჰყავთ 5 აფიცერი და 70 ჯარის-კაცი; ჩინელები ხანშოუში გაიქცნენ; იაპონელებმა წაიღეს ოთხი ზარბაზანი და საკმაო ტყვია-წამალი და ჩინეთის უმთავრესი ჯართ სადგომი დაიჭირეს.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 25 ივლისს, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეს ფიცხელაურს ორ ათასამდე მანეთი მიჰქონდა ხაზინაში ჩასაბარებლად. როდესაც ბ-ნი ფიცხელაური კანტორიდგან გამოვიდა და მობრუნდა მარცხნივ, მივარდნენ ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი წაართვეს ხელსახოცში გახვეული ფული და გაიქცნენ ბაზრისაკენ. ვიღაც მედუქნეს დახმარებით ორი მათგანი დაიჭირეს და ფულებიც იმ წუთშივე წაართვეს. ერთი ბოროტ-განმზრახველი-კი გაიქცეულა.

*** მომავალ ქართველ დედათა სკოლის კომიტეტის თავმჯდომარე კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა უგულითადესს მადლობას უცხადებს, როგორც თვით ყარსის ქართველ საზოგადოებას, რომელმაც 46 მანეთი და 50 კაპ. შემოსწირა სკოლის თანხას, აგრეთვე ბ-ნს ირაკლი მახარაძესაც, შემკრებელს ამ ფულისას.

22 ამა ივლისს, კნ. მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ ორბელიანისამ მიიღო მომგებიანი ბილეთი მეორეს შინაგან სესხისა მომავალის ქართველ დედათა სკოლისავე სასარგებლოდ. არ არის აღნიშნული, ეს მომგებიანი ბილეთი ვისგან არის გამოგზავნილი. მხოლოდ, როგორც ზედწარწერიდგან სჩანს, შეუწირავს ერთს ქართველ ქველ-მოქმედთაგანს.

კნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა დიდს და უდიდესს მადლობას უძღვნის ამ უცნობს ჭეშმარიტს ქველ მოქმედს.

როგორც შევიტყეთ, ტფილისში ზოგიერთებს განუზრახავთ საზოგადო წესად დასდონ ბანქის მოგებიდგან ზემოხსენებულს ფონდს შესწირონ 25%.

*** ამ დღეებში ბათომის ხალხის მატარებელით რუსეთიდგან ჩამოიყვანეს ტფილისის სადგურზედ რამდენიმე ოჯახი მალაკანი. აქედგან იმ წუთსავე ურმებით გაჰგზავნეს ტფილისის მაზრის სოფ. ელინზავენტალში, სადაც უნდა მისცენ, როგორც გვითხრეს, ადგილ-მამული სამუდამოდ იქ საცხოვრებლად. მიზეზი იმათის კავკასიაში გადმოსახლებისა ისა ყოფილა, რომ იმათ მართლ-მადიდებელი სარწმუნოება არ მიუღიათ, სასჯელის ნიშნად მოუშორებიათ სამშობლოსათვის და აქ ასახლებენ.

ცოტას ხანს შემდეგ ეს მალაკნები დარაჯებითურთ გაისტუმრეს დანიშნულ სოფელ ელინზავენტალისაკენ გაგზავნეს, რომელიც ოცდა-ათ ვერსის მანძილზედ მდებარეობს ტფილისიდგან.

*** ქუთაისი. აგერ ერთი თვე გადის რაც გვალვა დგას და ერთი ხეირიანი წვიმა არ გვღირსებია, სიცხეებია და ძალიან უვაჰრობა. ამ უვაჰრობის მიზეზი ის არის, რომ გურიასა და სამეგრელოში, სიმინდის ფასი ძალიან დაეცა.

*** ქუთაისი. 14 ივლისს, ხუთშაბათს, საღამოს 6-ს საათზედ, ამოვიდა ტფილისიდგან სომეხთა ეპისკოპოსი გეორქ სურენიანცი, აქაურს სადგურზედ ხალხი კარგა ბლომად

## ფელეტონი

**დასასჯელია თუ არა?!**

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდგან)

I

დაღლილ-დაწყვეტილი მათე სოლოლაშვილი შევიდა თავისის სახლის პაწია ეზოში და სულის ამოთქმისათანავე, შეუძახა ცოლს, რომელიც იქვე დერეფნის ქვეშ იჯდა, ფეხით ბავშვის აკვანს არწევდა და საჩეჩელზედ მატყლსა სჩეჩავდა:

— დედაკაცო, ღვთის გულითვინ, მაიტა ერთი ლუკმა პური მაჭამე!.. ლამის გადავიქცე, ძლივს-ღა დავსანსალობ... მათემ მოიხსნა მხრიდგან ქართული თოფი და დერეფნის ბოძს მიაყუდა, თითონაც ბოძის ძირას ჩამოჯდა და მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითით შუბლიდგან ოფლი მოიწურა.

მათეს ცოლი ხმის ამოუღებლივ დაფაცურდა, შევიდა სახლში და ორ წამში ქმარს წინ დაუდგა ხონჩა, რომელზედაც ერთი ჯამი ლობიო იდგა და გამხმარი შოთები ეწყო.

— კაცო, ასე რათ დაიგვიანე? აგერ საცაა მზე ჩავა? შეეკითხა ცოლი ქმარს, რომელიც მშიერ მგელსავით მიესია საჭმელს და ტუჩებს საშინელი წლაპა-წლუპი აუყენა.

— როგორ თუ რად დავიგვიანე? —უპასუხა ცალ-ყბიანად მათემ და თანაც ღონიერი ლუკმა ამოაფარა ტუჩებს. ეხლა თავი დაენებება დამწიფებულს ყურძენს?

— მერე რაღას უცდი? რატომ არ დაჰკრეფ? რაზედ იკლავ თავს მაგდენი დარაჯობით?!. ჩვენმა მეზობლებმა თითქმის ყველამ გაათავა რთველი...

— აი დედაკაცის ჭკუა ეს არის და... უპასუხა დაცინვით მათემ ცოლს, ამასთანავე ლუკმა გადუგდო გვერდით მწოლარე ძაღლს, რომელიც მიწაზე გაშოტილიყო, თავი წინა ფეხებს შუა ჩაედო და გაფაციცებით ადევნებდა წყალ-მორეულს თვალს პატრონის ყბების მოძრაობას. ყოველ ლუკმის ტუჩებთან მიტანის დროს ძაღლი საბრალოდ აწკმუტუნდებოდა ხოლმე და კუდით მიწის გვას მოჰყვებოდა. გადაგდებულს ლუკმას იგი გამწარებით დააცხრა, თვალის დახამხამებამდე გადაჰყლაპა და კვლავ იმავე თვალით დაუწყო ცქერა პატრონს. ცოლმა ქმარს დაცინვის გამო არაფერი უთხრა, მხოლოდ თავისთვის წაიდუდუნა „ი...ი ქა!...“

— ი...ი ქა...—გამოაჯავრა მათემ. —მე ოჯახ-ქორო ამდენი ვიცადე და ამ სიკეთის დროს-კი საქმე უნდა წავახდინო?! ორ თუ სამს ალაგას ერთნაირად არ არის ყურძენი მოსული და აღარ მოვითმინო? რა სულ წასულობაა? მეზობლები! ახლა რაო?... მეზობლები რომ ჩქარობენ, იმიტომაც კაი ფასში ჰყიდიან ხოლმე... თავიანთ სარჩოს!—ეუბნებოდა ხამუშდასმით მათე ცოლს ერთის მხრით უკმაყოფილო და მეორეს მხრით დარიგების კილოთი. ლიტრას ხან მოიხსნიდა ტუჩებიდგან, ხან ზედ მიიდგამდა ხოლმე, იმის ყანყრატო მოძრაობაში მოდიოდა და ზლუკუნ-ზლუკუნი გაჰქონდა წყალს ყელში.

მათე გამოძღა და უკმაყოფილო კილო შეეცვალა. სჩანდა, რომ სტომაქის დაკმაყოფილების შემდეგ ახლა ლაპარაკის მადა გაჰღვიძებოდა.

— ვაი შენ, ჩემო მართა, რომ ჩვენი ვენახი არ გინახავს!.. უთხრა დანანებით ცოლს მათემ.—ღვთის მადლმა, ამ დროული კაცი ვარ & ამნაირად მსხმოიარეს არ შევსწრებივარ!—არც ისე ძალიან ასხია, დაზუმპულს რომ იტყვიან ხოლმე... არც ვარგა... მაგრამ რაც აბია, სულ თავ-ანკარაა, ქარვაა... ჰაიგიდი! რა ღვინოს დავაყენებ!—განაგრძო აღტაცებით მათემ ცოტა სიჩუმის შემდეგ. გავაკვირვებ დიდ-მუცელა ხეჩოს! ნუ ჰგონია შარშანდელ ფასში მივცე, დიაღ! როგორ არა! იმას ელოდოს... სანამ ნურასა სჭამს!.. მათე ამ სიტყვებს ნიშნის მოგებით ამბობდა და თან ქალამნებს ისწორებდა.

— თუ ღმერთიც შემეწია აი, ამ ქოხსაც წელს გავუმაგრებ... აქ მათემ შეხედა თავის სახლის წინა კედელს, რომელიც ალაგ-ალაგ დახეთქილიყო და საკმარისად წინ იყო გადმოზნექილი, თითქოს უკანიდგან რაღაცა ძალა მოსწოლია და გადმოქცევას უქადისო.

— სულ ცოტა, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, საპალნე ნახევარი როგორ არ დადგება? იკითხა მათემ იმ ნაირად, თითქოს თავის თავს ელაპარაკება და არა ცოლსაო. რა ჩემი ღმერთი გაუწყრება? და ჩაფიქრდა.

— ჰო, განაგრძო ისევ ლაპარაკი: ვსთქვათ, საპალნე ნახევარი დადგა, თუ მეტი არა, ნაკლები ხომ არა და არა! კვლავ ჩაფიქრდა; იმისი სახის მოძრაობა, ძარღვების სისხლით დაბერვა და გამძვინვარებული კისრის ქექვა, აშკარად გამცნობდათ, რომ რაღაცა ანგარიშში იყო და დიდ-მნიშვნელოვან საკითხავის გარდაწყვეტას შესდგომოდა. ბოლოს სახეზედ ნათელმა გადაურბინა, ტუჩებზედ სიხარულის ღიმილი შეუთამაშდა და აღტაცებით დაიძახა:

— კაცო და ეს ხომ გავმდიდრდი კიდეც! არ გესმის, ადამიანო! შეუძახა ცოლს, რომელიც თავისს საქმით იყო გართული და ყურს არც კი უგდებდა ქმრის ხმა-მაღლა წარმოთქმულს ფიქრებს.

— ცხრა თუმანი! გესმის, ცხრა თუმანი?!

— რაო, რას ამბობ, კაცო, ვერა გამიგია-რა შენი?

ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა მათეზედ, თითქოს უცბად ცივი წყალი გადაასხესო. გაუკვირდა ცოლის მიუხვედრელობა და ამის გამო დარწმუნების კილოთი განაგრძო ლაპარაკი, მხოლოდ ეხლა, ცოტა არ იყოს, ზომიერის აღტაცებით.

— როგორ თუ ვერა გაგიგია-რა? ცხრა თუმნის ღვინოს გავყიდით და ისა...

— საიდგან, როგორ?

— საიდგან, როგორ? გამოაჯავრა მათემ.—აი საიდგან... შარშან ხეჩომ ხომ ოთხ-თუმან ნახევარი მომცა საპალნეში. წელს განა ექვს თუმანს არ მომცემს? მამა უცხონდა! ნუ იკადრებს?! არ მომცემს და არც მე მივყიდი!.. მორჩა და გათავდა...

— მერე, თუნდა მოგცეს?

— მერე და ისა, რომ ცხრა თუმანი იქნება. საპალნე ხომ ექვსი თუმანი და ერთი ცალიც—ესეც შენი სამი თუმანი. განა ცხრა თუმანს არ იზამს?

— მერე, ხეჩოსი რომ არის დარჩენილი?

— სამი თუმანია, რა ბევრია? ავიღებ და თავში მივახლი! უპასუხა ცოლის ჯიუტობით მოთმინებიდგან გამოსულმა მათემ.

— არა, ექვს თუმანს არ მოგცემენ, უპასუხა ცივად ცოლმა და ისევ თავისი საქმე განაგრძო.

დაუხვდა, სომხობა და ქართველობა· ეკკლესიასთან მის უსამღვდელოესობას მიეგებნენ პაწაწა მოსწავლე ბოვშვები, ქალები, და ვაჟები, და სომხურის გალობით გაუძღვნენ ეკკლესიამდე. მისმა უსამღვდელოესობამ დაათვალიერა ეკკლესია დ̃ სასწავლებელი, მთხოვნელები ჰნახა და მიიღო იმის სანახავად მისულები. მის უსამღვდელოესობას სასწავლებელშივე ვახშამი გაუმართეს.

მესამე დღეს შაბათს დილით, 6 საათზედ, მისი უსამღვდელოესობა გეორქი სხვა მღვდლებითურთ გაემგზავრენ დ. ჩხარში, სომხების ახლად აგებულ ეკკლესიის საკურთხებლად, წინ მიუძღოდათ პოლიცმეისტერი ბოქაულები და ყაზახები. ორშაბათს. 18 ივლისს, დაბრუნდა ჩხარიდგან და გელათის მონასტერში წავიდა იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის სანახავად. 20 ივლისს შუადღის პირველს საათზედ, მისი უსამღვდელოესობა ტფილისს გაემგზავრა მატარებლით.

*** სოფ. ბულუხაური. (გურია). 15 ივლისს წმ. კვირიკეს დღეობას ბულუხაურის ეკკლესიამ დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა, ასე რომ ეკკლესიის ფართო გალავანი მლოცველებს ვერ იტევდა; ბევრი 25—30 ვერსის სიშორიდგან იყო მოსული სალოცავად. მაგრამ ამ დღეს წირვა არ იყო, რადგან, როგორც მღვდელმა განაცხადა, ეკკლესიის სახურავში წვიმა ჩამოდიოდა. სირცხვილი მრევლს დაუდევრობისათვის, მაგრამ თუ ისეთ მზიანს დღეს ეკკლესიაში არ იწირებოდა, ნუ თუ მღვდელი მოვალე არ იყო პარაკლისი მაინც გადაეხადა საყდრის ეზოში და ხალხი გულ დაწყვეტილი არ დაეტოვებინა.

*** ცხინვალი: ცხინვალში ორის ებრაელის სახლი, ერთი ძაგიაშვილისა და მეორე მანაშერაშვილისა, ისეა დაძაბუნებული, რომ დღეს თუ ხვალ გადმოიქცევა და ერთ საცოდაობას დაატრიალებს, მით უმეტესს, რომ ორივე სართულები სავსეა მდგმურებით.

პირნახულის ფასმა დაიწია. სიმინდი დღემდე 60 კაპ. იყო და დღეს 50 კაპ., პური დღემდე 90 კაპ.—1 მან. იყო და დღეს-კი 70-იდგან 65 კაპ. იყიდება.

*** გაზ. «Нов. Обоз.» ამბობს, რომ სალიტოგრაფიო ქვის მადნის პატრონები, ქუთაის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრაში, პ. და ლ. კოკოჩაშვილები აპირებენ შეადგინონ მრეწველთა ამხანაგობა იმ პირობით, რომ ეს ქვა-მადანი იმათ დაუსაკუთრონ თუ თვით ამხანაგობა მოისურვებს ამ მადნის საკუთრებად შეძენას. ხსენებული ქვა 1889 წ. კავკასიის სამეურნეო გამოფენაზედ იყო და აღწერილია ამ გამოფენის ანგარიშში და აგრეთვე დაბეჭდილს წერილში, რომელიც შედგენილია კოკოჩაშვილებისაგან იმათთვის, ვინც მოისურვებენ ამხანაგობაში მონაწილეობის მიღებას.“

*** ივლისის 22 გოლოვინის პროსპექტზედ გრაფის შერემეტიევის ღვინის სარდაფის გამგებელმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ამავე სარდაფში მწერლად მყოფმა დორემიმედანტ ემელიანმა კასიდამ 160 მან. მოიპარაო. დამნაშავე იმავე დღეს შეიპყრეს და მარტო სამი მანეთი-ღა უპოვნეს. დანარჩენი შევსჭამეო, სთქვა.

*** 23 ივლისს კადეტების კორპუსის მახლობლად პოლიციელმა შეიპყრო ივანე სლოვინსკი, რომელსაც კავკასიის სააფთიაქო ვაჭრობის მქლაზიიდგან სხვა-და-სხვა საქონელი მოეპარა და ტომრით მიჰქონდა.

*** ამავე დღეს საპერის ქუჩაზე ალექსანდროვის ბაღთან სოფ. აბრავის მცხოვრებელმა ლეკსო ზაქარიას ძემ სოკურამ რევოლვერი გაისროლა. ტყვია ექვთიმე ხელაძის სახლის ფანჯარას მოხვდა. ფანჯარასთან ისხდნენ ხელაძის ორი ქალი ნინო და სოფიო, რომელთაც ტყვია ასცდათ დ̃ თავზედ გადაუარათ.

*** 23 ივლისს კახეთის ქუჩაზედ ვერმიშევის მამულში ახალციხის მცხოვრებელი დანიელ ტეცოშვილი წაეჩხუბა ვასილ ასატუროვს და მსუბუქად დაჭრა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავე შეიპყრეს.

## კორესპონდენცია

**კახეთი**, 19 ივლისს. ქართველ ახალგაზდობას და განსაკუთრებით ქართველ სტუდენტობას სხვათა შორის ერთი დანაშაული მიუძღვის ჩვენის სოფლელ ხალხის წინაშე. იგი ჩვენის ქვეყნის ცხოვრებასა და იმის ავ-კარგიანობას წიგნებისა და გაზეთების შემწეობით თუ იცნობს, თორემ პირდაპირი ცნობა ქვეყნისა მას ნაკლებადა აქვს: ბევრს იმერელ სტუდენტს გაგონით თუ გაუგონია, რომ ქართლი და კახეთი არსებობს, თორემ თვალით ეს ქვეყნები არასოდეს არ უნახავს და იქნება ისე გაატაროს თავისი სიცოცხლე, რომ არც ერთხელ არა ნახოს. იგივე ითქმის კახელ სტუდენტების შესახებაც, ამისთვის იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა და სხ. ისეთი უცნობი ქვეყნებია, როგორც აფრიკის შუაგული ადგილები.

თუ კი ჩვენი კეკლუცი და ყოველის სიკეთით დაჯილდოვებული ქვეყანა ანდამატივით იზიდავდა და იზიდავს უცხოელებს: ინგლისელებს, გერმანელებს, ფრანგებს, იტალიელებს, რომელნიც აღტაცებულის სიყვარულით და სიმპატიით იხსენიებენ ჩვენს ქვეყანას, იმის წარსულს, ჩვენს ერს, იმის სიტურფეს, სტუმრის მოყვარეობას და სხვა ბევრ კარგს თვისებას, ჩვენ რაღა დაგვემართა, რომ ჩვენის სამშობლო ქვეყნის ამბავს უცხოელების ნაწერებიდგან ვიგებთ? ამ ნაწერებით აღტაცებაში მოვდივართ და ვკვირვობთ, რა მშვენიერ ქვეყანაში გვიცხოვრია და ჩვენ-კი ეს არ ვიცოდითო!

დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ასე იმოქმედა ბევრს ქართველ სტუდენტზედ „ემილ ლევიეს მოგზაურობის აღწერამ“, ჟურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილმა. ნუ თუ სირცხვილი არ უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ჩვენის ქვეყნის ავსა და კარგს უცხოელი უნდა გვაგებინებდეს, და ჩვენ-კი, ამის უვიცნი, პირდაღებულნი ვკვირვობდეთ, ეს რა ამბავია ჩვენს დაუდევნელს თავზეო!

მე მგონია, რომ ყოველის ფაკულტეტის სტუდენტი ჰნახავს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში თავის ჭკუა-გონების სავარჯიშებელ მასალას. ავიღოთ, მაგალითად, საექიმო ფაკულტეტის სტუდენტი. განა ხალხურ მკურნალობაში, თუ-კი რიგიანად დააკვირდება, ცოტა მასალასა ჰნახავს თავის ცოდნის გასაფართოვებლად და თავისის საგნის საფუძვლიანად შესწავლისათვის?

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მე მინდა მკითხველის ყურადღება სხვა საგანს მივაქციო. ექიმ-სტუდენტების ყოველ წლიურ მოგზაურობას ზაფხულობით ჩვენს ქვეყანაში სხვა პრაქტიკული მნიშვნელობაც ექნება როგორც სოფლის ხალხისთვის, ისე პირადად სტუდენტებისათვისაც. დადგება თუ არა კახეთში შუა მკათათვე და მარიამობისთვე, ხალხი დაიწყებს ხოლმე ციებ ცხელებით დ̃ სხვა სენით ავადმყოფობას. უექიმობით ხალხი ღვთის ანაბრობაზეა მიგდებული: თუ ავადმყოფი თავისით მორჩა, ხომ კარგი, თუ არა და, სულ მცირე ავადმყოფობა უიმედო მდგომარეობაში აგდებს. რა ქნას ამ ცხარე მუშაობის დროს ავადმყოფის პატრონმა? ვის მიჰმართოს? ტფილისიდგამ მოყოლებული სიღნაღამდის, ასის ვერსის მანძილზე, თითქმის მხარ-გაბმით სოფლებია გაშენებული და ამოდენა მანძილზე მხოლოდ ერთი ექიმია სოფ. საგარეჯოში. (ისიც წელს დაინიშნა). ხელ-მოკლე სოფლელისთვის ექმის მოწვევა ერთობ ძნელი და თითქმის შეუძლებელი საქმეა. სულ რომ მცირე გასამრჯელო ფასი ვიანგარიშოთ ექიმისთვის, ხუთი მანეთი მაინც უნდა მისცეს ავადმყოფმა, როცა ათისა და ოცის ვერსის მანძილზე იწვევს ექიმს. განა ამ ფულის გაღება ხელ-მოკლე კაცს შეუძლიან? ან ვინ მიაბადა ამ დროს ეს ფული? აი, ამ შემთხვევაში ექიმ-სტუდენტს ბევრი სარგებლობა შეუძლიან აღმოუჩინოს ავადმყოფს თუ რჩევით, თუ პირველდაწყებითის საშუალების მიცემით. ამ სტრიქონების დამწერს ექიმობისა არაფერი გაეგება; შინ სახმარებლად მოგაქვს საზაფხულოდ ქინაქინა და სხვა უბრალო საშუალებანი. გაიგებენ თუ არა სოფლელები ჩემს მოსვლას, დღე ერთია და მომსვლელი ხუთი-ექვსი.

ზოგს ქათამი უჭირავს ხელში და იხვეწება, ციებ-ცხელების წამალი მიბოძეო, ზოგს ხილით სავსე კალათა და იმუდარება: „მიშველე რამე, შენი ჭირიმე, შენ სადღეგრძელოდ, ჩემი ერთად-ერთი იმედი ცხოვრებისა ხელიდგან მეცლებაო“, ზოგს ფული მოაქვს და ზოგს—ვინ იცის რა. ხშირად ჩემდა უნებურად ავადმყოფის პატრონს ცარიელს და გულ-დაწყვეტილს ვაბრუნებ იმ შიშისა გამო, რომ, ვაი თუ შველის მაგიერ ავადმყოფი ჩემის უცოდინარობით უარესს დღეში ჩავაგდო-მეთქი. აი ამ შემთხვევაში ექიმი-სტუდენტები მესამე და მეოთხე კურსისა თავისის რჩევითა და დარიგებით დიდად დაავალებდნენ ჩვენს სოფლის მცხოვრებლებს.

მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში, მეტადრე კახეთში, ძალიან ადვილია: ტფილისიდგან მოყოლებული, როგორც ზემოთა ვსთქვი, სოფელი სოფელზეა წაბმული, ერთი სოფლიდგან მეორე სოფელში მისვლას ნახევარი საათი არ მოუნდება.

სოფლის მღვდლები და მასწავლებლები ამ გვარ სასიამოვნო და სანეტარო სტუმრებს, როგორიც არიან სტუტენტები, დიდის სიამოვნებით მიიღებენ, ცხენსაც უფასოდ დაუთმობენ და მხლებელსაც ადვილად უშოვნიან.

იმედია, ადგილობრივი ადმინისტრა-

---

— აი დაგლახვრა ჩემმა გამჩენმა!— შეუტია მათემ ცოლს. გაჩუმდი შე ოჯახ ქორო, ყბად ნუ ამიღე!

— ცოტა კიდევ დაიცადე, ნუ დაჰკრეფავ დო, როცა ძაღლი და ქათამი გაგინახევრებს, მაშინ გაჰყიდი ცხრა თუმნის ღვინოს.

— აი გაგაჩანაგა ეშმაკმა! შე მამაოხრის შვილო, რა სულ-წასული რამა ხარ!—შეუტია კვლავ მათემ ცოლს და გამწარებულმა ერთი საშინელი გადააფურთხა. რა ეშმაკის ცხენზედ შეჯდები ხოლმე, ადამიანო, როცა გუნებაზედ არა ხარ დ̃ სიცოცხლეს მიმწარებ!.. ადე, გამეცალე იქით.

მართამ ის იყო პირი გააღო, პასუხი უნდა მიეცა ქმრისათვის, როცა დაინახა, რომ თოლია სწრაფად წამოხტა და დაოთხებით გაექანა ჭის კარებისაკენ, რომელთანაც კაცის ფეხის ხმა და ძაღლის ყეფა ერთს დროს მოისმა.

— ნათლიმამ, ნათლიმამ, შინა ბრძანდები? მოისმა ვიღაცა გლეხის ხმა, ამასთანავე ჭის წნული კარები გაიღო და გამოჩნდა შუა ხნის გლეხი, შეიარაღებული ჯოხით, რომლითაც მყეფარს იგერიებდა.

— ოჰ, ონისიმე!.. მობრძანდი... უპასუხა მათემ გლეხს, წამოდგა ფეხზედ და გასწია კარებისაკენ. იქით დაიკარგე შე წუნკალავ!—შე ოხერტიალო მტერი და მოკეთე ვეღარ გაგირჩევია?!. ამ სიტყვებთან ერთად მათემ მოაშორა სტუმარს ძაღლი და ორივენი დერეფნისაკენ წამოვიდნენ. მყეფარი მაინც თავისას არ იშლიდა, ხან აქეთ უვლიდა ახლად მოსულს ხან იქით და ყელზედ უღელი რომ არ ჰბმოდა, უექველად ზედ მიახტებოდა. არც მაშინ მოისვენა, როცა სტუმარი დერეფნის ბოძის ძირას ჩამოჯდა, ისიც შორი-ახლოს გაიშოტა მიწაზედ და ონისიმეს ყოველ მოძრაობაზედ კბილების კრაჭუნით იღრინებოდა.

— ნათლიას ვახლავარ... მიესალმა მართა ახლად მოსულს თავის დაკვრით და გაჭიმული ხელი გაუწოდა შორიდგან.

— სხვა, ონისიმე, რა ამბავზე გარჯილხარ? ჰკითხა მათემ სტუმარს, როცა ერთმანეთის მოკითხვას მორჩნენ.

— რაღა რაზედ გავრჯილვარ... ქვევრებს ვრეცხავთ და სარცხი დაგვაკლდა.. თუ გაქვს, ნუ დამიჭერ, ხვალვე გავაკეთებინებ და მერე ჩემგან ითხოვე... ხაპირითაც რომ ხელი გამიმართო, ძალიან დამავალებ...

— კეთილი... მიირთვი. მართლა როგორ გისხიათ ვენახებს?

— არა უჭირს-რა... შენა?

— ძალუმათ, მტრის თვალით არ შეიხედება...

— ჰო, ამბობენ წელს შენმა ვენახმა თურმე ძალიან იხეირა. ყურძენიც ხომ კარგია?

— უბადლო, რაც არის, სულ ქარვაა, ღვთის მადლმა! წელს ყველგან ვენახებში ღვთის თვალი ტრიალებს. აი ეს პური-კი...

— პურისას ხომ ნურაფერს იტყვი, ნათლიმამ... მე და ჩემმა გამჩენმა, წელს ჩვენს ოჯახს პურის სყიდვა მოუნდება.

— აპა, მაგას რას ბრძანებ, ნათლი? წამოიძახა გაკვირვებით მართამ თქვენ და პურის სყიდვა—ვის გაუგია, ქა?! და როცა ონისიმემ განუმეორა ნათქვამი, ლოყებზედ ხელი ჩამოისვა, ორი თითი ტუჩებთან მიიტანა და თავის ქნევით წაიდუდუნა.

— ვაი ჩვენს მოსწრებას! ეს რა დრო დადგა ღმერთო! თქვენ ოჯახს განა პური უნდა დააკლდეს და ბაზარში დადიოდეს საშოვნელად?!.

— ასეა, ჩემო მართა! სთქვა ონისიმემ მწუხარედ და ჯოხით შეიარაღებული ხელი ჰაერში გაუქნია, თითქოს ღმერთს ეუბნებოდა: „დაილოცოს, უფალო, შენი სამართალიო“.

ამის დამნახავი თოლია ფეხზედ წამოხტა ყეფა—ღრენით და წინ წამოიწია, რომ ონისიმეს მივარდნოდა.

— იქით დაიკარგე, შე პატრონდავსილო! შეუტია მათემ ძაღლს: მოგვაშორე, ადამიანო, ეგ ოხერი! უთხრა შემდეგ ცოლს. მართამ ხელი წამოავლო იქვე მიწაზედ მიგდებულს წნელს ძაღლის მოსაშორებლად, მაგრამ გვიან-ღა იყო, რადგანაც უამისოდაც თითონ თოლია სწრაფად გაექანა ქუჩისაკენ, საიდგანაც ძაღლების ყეფის ხმა მოისმოდა. საწყალი ისე გამალებული მირბოდა, რომ ნახევრად ღიებულს კარებს პირდაპირ დაეტაკა, კისერზედ შებმული უღელი გეზად ვერ ააცილა, რის გამოც უღლის ერთი ბოლო წნულში გაეჭედა და, რა დაახწია დიდის წვალების შემდეგ თავი ამ დაბრკოლებას, ტყვიასავით გაქანდა ძაღლებისაკენ, რომელნიც კატას შემოჰხვეოდნენ, შუაში მოემწყვდიათ და გზას არ აძლევდნენ.

— რამდენი დაგიდგება ღვინო, მათე? განაგრძო ონისიმემ ძაღლების ყეფის გამო შეწყვეტილი ლაპარაკი.

— მე საპალნე ნახევრის იმედი მაქვს, თუ ღმერთმა ინება.

— ეჰე! ეგ კარგი ამბავი მითხარ, მაშ წელს ბლომა ფულს აიღებ აი, ნათლიმამ! უთხრა ღიმილით ონისიმემ.

— საჭიროც არის, ჩემო ონისიმე! ბევრი კუთხე-კუნჭული აქვს იმ ფულს... ვალი მმართებს, ვალი, და ეს ქოხიც ისე დაძმარებული შემომყურებს. მაგრამ ისე არც ვალის და არც სახლისა მეფიქრება, როგორც ერთი რამისა...

— რა არის, მათე, შენი გული პასუხი ჰკითხა ონისიმემ მათეს, რომელიც თავისმავე უკანასკნელმა სიტყვებმა ძალიან ჩააფიქრა.

— რა არისო? წამოიძახა ფიქრიდგან გამოსულმა მათემ: აი რა არის. დიდი ხანია საქონლის ყიდვა მინდა, ონისიმე; მაგრამ ეს ოხერი ამ სილარიბეს ვეღარ ავუდექ, მეტის-მეტად დამრია ხელი. სულ იმის ფიქრში ვიყავ, იქნება როგორმე ერთი უღელი კამეჩი შევიძინო- მეთქი... მაგრამ ვერას გავხდი, შენ თითონ იცი, რა ყოფაშია ეხლა გლეხ-კაცი და ისიც ჩემისთანა ხელმარტო. წელს ცოტა არ იყოს იმედი მეძლევა... თუ ერთი ცხრა თუმნის ღვინო გავყიდე—რისაც იმედი მაქვს,—ექვს თუმანს უეჭველად ამ საქმისათვის დავაბანდებ... სამი თუმნით ხელს, როგორც იქნება მოვინაცვლი, ვალს შემდეგ გავისტუმრებ. მერე, ონისიმე, ისეთი უღელი ხარ-ზაქი მყავს შერჩეული, რომ.. უკეთესი არ იქნება... ახ, თუ ღმერთმა ინება და... მერე სულ ქირაზე ვივლი და ერთ წელიწადს ავინაზღაურებ საქონელზედ დახარჯულს ფულს!.. დაათავა სიამოვნება აღძრულმა მათემ და გამომცდელის თვალით დაუწყო ცქერა ონისიმეს, თითქო უნდოდა გაეგო, სჯეროდა იმას განზრახულ აზრის გახორციელება, თუ არა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ნათლიმამ. დააიმედა ონისიმემ: უსამართლობაც იქნება, რომ შენმა გარჯა-მხნეობამაც უქმად ჩაგიაროს...

— თქვენ რამდენიღა დაგიდგებათ?

ციაც: მაზრის უფროსი, ბოქაული და მამასახლისი საჭირო დახმარებას აღმოუჩენენ ამ გვარ მოძრავ მკურნალებს და ამით კეთილს საქმეს ხელს მოუმართავენ, რადგან ხალხის კეთილ-დღეობისთვის ზრუნვა და ფიქრი იმათ პირდაპირს მოვალეობას შეადგენს.

ახლა საქმე ის არის, თუ რა საშუალებით შეიძინონ სტუდენტებმა სამკურნალო პირველ-დაწყებითი საშუალებანი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ შემთხვევაშიაც, როგორც სხვა მრავალში, ჩვენი საადგილ-მამულო ბანკი არ დაიშურებს თითოეულ მაზრისათვის ყოველ წლივ ორას-სამასის მანეთის მიცემას, რაიცა, ჩემის ფიქრით, სრულიად საკმარისი იქნება ზაფხულის ორი-სამის თვის განმავლობაში. ეს ფული ბანკს არ დაეკარგება: ავადმყოფის პატრონი წამლის ფასს —ერთისა და ორის აბაზის მიცემას დიდის მადლობით ადვილად მოახერხებს, რადგან ბევრს ავადმყოფს ამაზე მეტი ფასის წამალი არც დასჭირდება. ამ გვარად მოგროვილი ფული ბანკს უკანვე დაუბრუნდება, და არაფერ წაგებას იგი არ ჰნახავს. ამ ნაირად დაედება საძირკველი ჩვენს ქვეყანაში მოძრავ ექიმობას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის სოფლის ხალხის ჯანმრთელობისათვის.

ჩვენ, ვინც ნასწავლ ხალხად ვითვლებით, ერთობ მაღლა აგვიწევია ცხვირი და ამ მაღლიდგან დაუდევნელად დავყურებთ ჩვენს უვიცს უმცროსს ძმებს. ჩვენ ისე შევჩვევივართ მათდა მიმართ უზრუნველობას, რომ აინუნშიაც არ ვაგდებთ არც იმათ შიმშილს, არც სიტიტვლეს, არც გაუნათლებლობას, არც იმათს ავადმყოფობასა და არც სხვა უბედურებას. მაშ რა უფლებით უნდა მოვითხოვოთ სოფლის კაცის სიყვარული, პატივის ცემა და ნდობა, როდესაც დღის სავალზედ ახლოც არ ვუდგებით, როდესაც მისი ჭირი ჭირად არ მიგვაჩნია და ლხინი ლხინად?!.

ზიარელი

## მცირე შენიშვნა

9 ამა აპრილს სამოსამართლო პალატამ მოისმინა სააპელაციო საჩივარი ბაკა და გრიგოლა გიორგის ძეთ მიშველიძეებისა. ისინი შუამდგომლობდნენ დარღვეულიყო განაჩენი ქუთაისის ოლქის სასამართლოსი, რომლითაც სასჯელი ჰქონდათ გარდაწყვეტილი ქურდობისათვის და გაემართლებინა ისინი სასამართლოს, რადგანაც, ეს ბრალდება ცხადი ცილის წამებააო.

სამოსამართლო პალატამ არ შეიწყნარა მიშველიძეების საჩივარი და ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა. კანონის ძალით მისჯილთ ნება ჰქონდათ საჩივარი შეეტანათ სამოსამართლო პალატის განაჩენზედ საკასსაციო წესით სენატში, რისათვისაც ორი კვირის ვადა ეძლეოდათ; ეს ვადა წესდების ძალით ითვლებოდა, არა განაჩენის გამოცხადების დღიდგან, არამედ იმ დღიდგან, როცა განაჩენი დამთავრებულის სახით იქნებოდა სასამართლოში გამოცხადებული. აი, სწორედ ამ ვადის შემყურე მიშველიძე ყოველ დღე დადიოდა სამოსამართლო პალატის კანცელარიაში და თხოულობდა, შემატყობინეთ, ხომ არ გამოუცხადებიათ განაჩენიო, მაგრამ ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი ესმოდა: „ჯერ არაო“!

ამ „ჯერ არამ“ გასტანა ერთს თვეზედ მეტს და ბოლოს მიშველიძემ იჭვი აიღო ამ პასუხის სიმართლეზე.

4-ს მაისს, როცა იკითხა საქმის ვინაობა და მიიღო იგივე «ჯერ არა» პასუხად, მიშველიძემ სთხოვა ეგ პასუხი ქაღალდზედ დამიწერეთ და ხელი მოაწერეთ რიცხვის აღნიშვნითაო. სამოსამართლო პალატის მოხელემ მალიკოვმა, რომელიც იმ დღეს მორიგად იყო, ხელი მოაწერა ამ ცნობას და გარდასცა მთხოვნელს. ამ გვარივე ცნობა, ამ გვარადვე, მისაგანვე ხელ-მოწერილი მიშველიძემ მიიღო კიდევ 18 მაისს.

ეს ორივე საბუთი დღეს ხელთა მაქვს და თუ საჭირო იქნება კიდეც წარვადგენ, სადაც ჯერ არს.

ბოლოს აღმოჩნდა, რომ სრული განაჩენი მაისის პირველ რიცხვებში გამოეცხადებინათ და ძალაში შესულიყო კიდეც...

ამ გვარად ბატონის მალიკოვის წყალობით, და უფრო იმ სასამართლოს წყალობით, რომელმაც ასეთი მოხელენი დანიშნა ამ გვარის რთულის პასუხ-საგებელის თანამდებობის აღმასრულებლად, მიშველიძე ეს ერთი თვეა უკვე დაპატიმრებულია ქუთაისის ციხეში, სრულიად უკანონოდ და უწესოდ მოკლებული საჩივრის უფლებას!.. ამბობენ, მიშველიძეს განზრახვა აქვს საჩივარი შეიტანოს სამოსამართლო პალატაზედაო; რამდენად მართალია ესა, არ ვიცი, მაგრამ მე-კი არ შემიძლიან არ აღვნიშნო ეს გარემოება სრულის გულის ტკივილით, როგორც ერთი იმ მოვლენათაგანი, რომელიც, წინააღმდეგ კანონისა, რიგისა და კაცთ-მოყვარეობისა, ართმევს ღონისძიებას ადამიანს თავისს სიმართლეს და სიმტყუვნეს სიმართლის სათავემდის მიაღწევინოს, რათა ამ გვარად, არც საზოგადოება და არც თავი თვისი ეჭვს ქვეშ არ დასტოვოს...

სრული იმედი მაქვს, რომ ამ სამწუხარო გარემოებას ბ-ნი სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე ამ საქმეს გამოიკვლევს და უსამართლოდ მოსპობილს საქმეს კვლავ განაახლებს, მიშველიძეებს მისცემს საშუალებას საჩივარი დაიწყონ.

შამა ქადაგიძე

## ჩვენი საერო სიტყვიერების შესახებ

ვისაც თავისის ერის წარსულის ბედის შესწავლა ჰსურს ყოველ მხრივ, უთუოთ უნდა სხვა წყაროებზედ არა ნაკლები ყურადღება მიაქციოს ერის ზეპირ-სიტყვიერებასაც. ამ ზეპირ-სიტყვიერებაში იხატება ერის ზნე-ჩვეულებანი, ძველის-ძველი ხალხური რწმენანი, გმირობა, ვაჟკაცობა, ისტორია და სიყვარულ-ტრფიალება.

ვინ არ იცის, რომ ამ მხრივ ქართველებს მდიდარი ლიტერატურა გვაქვს, ყველა განათლებულ ქვეყნებში ამ საქმეს დიდი ხანია ხელი მოჰკიდეს და განახორციელეს; თავიანთის ერის გონებით ნაწარმოები რამდენსამე ტომებად უწერიათ და სტკბებიან იმის კითხვით, ჩვენ-კი, როგორც ყველაფერში, ამ საქმეშიაც თვალ საჩინო ვერა გავაკეთეთ-რა.

ჩვენდა საუბედუროთ, ჯერ სრულიად არა გვაქვს შეკრებილი ყოველ გვარი ნიმუში ერის სიტყვიერებისა, ისიც, რაც შეკრებილია, გაფანტულია ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში, და ამ გვარად გაბნეული მასალის გაცნობა-კი ყველასათვის ადვილი არ არის. საჭიროა ეს მასალა მალე შევკრიბოთ და დავსტამბოთ ერთ წიგნად, რათა შეძლება მიეცეთ, ჯერ ერთი, ზოგს ზოგს მისი შესწავლისა და, მეორეც, ნიმუშების შემკრებლებმაც იმითი იხელმძღვანელონ და გაიგონ რა არის უკვე დაბეჭდილი და რა არა. ასე რომ ვიყვნეთ და ბედის მოლოდინში ვატაროდ დრო, თავად არა მოგვერთმევა რა, საჭიროა შრომა, შრომა შეერთებული.... ყველამ, სოფლის მასწავლებელმა და ყოველმა ნასწავლმა ახალგზდამ, რომელიც-კი მოხვდება სოფელს, უნდა გამოათქმევინოს სოფლის ბერ კაც-ქალებს ის ძვირფასი ლექსები, ძველი ამბები, რომლებიც მარტო იმათ იციან, თორემ თანდათან ავიწყდება ხალხს, ჰქრება, იცვლება. ეს, ხანა, ვგონებ, უკვე დადგა, რადგან ძველ ხალხურ ლექსებთან ერთად ვრცელდება უშნო ახალ მოდური კინტოური „კეკელ-ჯანები“, „მიკიტანო, შენ გააღე კარები“. რაც უფრო სამწუხაროა, ამ მეორე გვარს სასიმღერო ლექსებს მოზარდი თაობა სოფლის გლეხობა ითვისებს და მამა-პაპის ნათქვამი საგმირო ლექსი აინუნშიაც აღარ მოსდის. ახლავე უნდა ვეცადნეთ, რომ ბოლოს არ ვინანოთ და ცხარე ცრემლით არ ვიტიროთ ეს დანაკარგი.

როგორც ერთის ჩვენის ისტორიკოსის ქრონიკები დაიბეჭდა, აგრეთვე შეიძლება ვინც ამ საქმეს იკისრებს, გამოაცხადოს და წინადვე იყიდონ ყველამ და ამ ფულით-კი წიგნები დაიბეჭდოს. შეიძლება და საჭიროც იქნება პრემიებიც დავუნიშნოთ, ვინც ამ საგნის შესახებ კარგს თხზულებას დასწერს, ლექსებს გაარჩევს და სხ.

ამ საქმეს შეიძლება ზოგი საერო პოეტის იოსებ დავითაშვილის ფონდითაც მოვეხმაროთ და მთელი ეს საქმე იმის სახსოვრად გავხადოთ. ვგონებ ჯერ-ჯერობით „მუშა-პოეტისთვის“ უკეთესს ძეგლს ვერ ავაგებთ.

ამ საქმის განხორციელებას, ცხადია, «წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ უნდა მოჰკიდოს ხელი.

ვასილ ბიბილაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

პეტერბურგის გაზეთი „Нов. Время“ იმ აზრის არის კორეს გამოატეხილ დავის შესახებ, რომ ინგლისსა და გერმანიას ვერ გაუბედნია ამ საქმეში რაიმე აზრს დაადგნენ, რადგანაც იციან, რომ პეტერბურგის კაბინეტი ხმა მაღლა მოითხოვს, რომ აწინდელი მდგომარეობა კორეს სამეფოსი არ იყოს დარღვეული, რადგანაც რუსეთი არავის არ მისცემს ნებას ჩაერიოს ამ საქმეში.

სუვორინის გაზეთის აზრით ევროპის დიპლომატებს დავთარი დაჰკარგვიათ იმიტომ, რომ არ იციან რუსის მთავრობა როდის, რას მოიმოქმედებსო.

**

---

ჰკითხა ონისიმეს ხელის მომართვით ნასიამოვნებმა მათემ.

— ჩვენც ბლომად მოგვივიდოდა, ქურდულად რომ არ გაეკრიფნათ.

— ჰო, მართლა, თქვენ ხომ გზის პირასა გაქვთ ვენახი; მწყემსები იზამდნენ.

— იმდენი მწყემსებმა არა, რამდენიც პაპუნაანთ «გლეჯიამ».

— აი ის არ დასაყენებელი! განა თქვენკენაც მოდის. კაცო, იმ სიშორეზედ რა აბედვინებს წამოსვლას? მე ხომ, ძმავ, გამაჩანაგა! თუ რამე ზარალი მომეცა წელს, სულ იმისაგან. სამ ღამეში ერთხელ მაინც მეწვევა ხოლმე! მერე თითქმის მთელი სოფელი უჩივის, მაგრამ ვერას ვაკლებთ...

— იმიტომ ვერას ვაკლებთ, რომ ზურგს უკან დიდი ბობოლა უდგა და ის ამაგრებს იმ პირ-გასაშავებელსა. შენ იცი მგონი, მათევ, მამასახლისი (აქ ონისიმემ ირგვლივ თვალი მიავლ-მოავლო იმ არე-მარეს, თითქოს ვისმესი ეშინოდეს, ყურს ხომ არ გვიგდებენო, და შემდეგ იდუმალის სახით განაგრძო) იმის ცოლს ეტოლიალება და იმიტომაც გლეჯიასაც ზედ ეფაფრება, ყველა იმის ნაცოდვილარს ხელს აფარებს... ამბობენ, მითომ ნაქურდალს სულ მამასახლისს უნაწილებსო. განა მარტო ყურძნის პარვა ჰბრალდება, სხვა რამდენი რამ ჩაუდენია. საწყალს ჩვენებიანთ ბერუას იმან არ გადაუჭრა ვაზები—აქაოდა სუდში მიჩივლეო!.. სოლომონიანთ საბძლის დადაწვა განა ვისი ბრალია? იმისი, უმტკიცდებოდა კიდეც დანაშაული, მაგრამ აქაც მამასახლისმა იეშმაკა... და კიდევ სხვა რამდენი რამ, მაგრამ რას იზამ? ვერაფერს აკლებენ, აქაო-და მამასახლისი თასლიბ'ა უწევსო!.. ამბობდა გულ-ნაკლული ონისიმე და ამასთანავე გაჯავრებული მიწას ჯოხსა სცემდა, თითქოს „გლეჯიას“ ჯავრი მიწაზედ უნდა ამოეყაროსო.

— კიდეც იმიტომ მიაფუჩეჩა მამასახლისმა ჩემი საქმე. სთქვა მათემ იმ ნაირის სახის გამომეტყველებით და კილოთი, თითქოს დიდის საიდუმლოს ახსნის საბუთი ჰპოვაო. კაცო-და მეც ხომ უჩივლე „გლეჯია“-ს მამასახლისთან ყურძნის ქურდობისათვის, მაგრამ აი დღესაც არაფერი ისმის... ჩაილულის წყალი დალია...

— ეგ რად გინდა? შორს რად მიდიხარ? უპასუხა ონისიმემ. ამას წინად «ნაჩალიკმა» რომ გვიბრძანა, საეჭვო კაცები დაასახელეთო, სხვებში „გლეჯია“-ც ჩასწერეს სიაში, მაგრამ რა გინდა ქნა მამასახლისის გადამკიდემ? იმდენი ეცადა, იმდენს გაძვრა-გამოძვრა, რომ ამოაშლევინა!..

— რა ულმერთობაა!.. წამოიძახა გულ-მოსულმა მათემ, რომელმაც ეს გარემოება არ იცოდა. ღვთისა როგორ აღარ ეშინიან? მთელს სოფელს ერთ კაცს ამჯობინებს!.. მაგრამ განაგრძო კვლავ ცოტა სიჩუმის შემდეგ მათემ ყვედრების კილოთი: ჩვენივე ბრალია, ნათქვამია: „სოფელი ვენახე უძაღლო და შიგ გავიარე უჯოხო“-ო. ყველას ხახა დაგვიღია, გაჩუმებულვართ და დაბალ ღობესავით, ვისაც უნდა, ზედ გვალაჯებს!.. ჰაიგიდი, რაღა მიქნია?! მე სული ამოვირთო, ვენახის შემუშავებით წელი მოვიწყვიტო და ქურდ-ბაცაცა გლეჯიამ-კი გაიხაროს!.. ღვთის მადლმა, ონისიმე, რაკი პატარა თვალი შევიდა ყურძენში, რიგიანად არა მძინებია!.. ამ ორ თვეში, აი შემომხედე, როგორ ჩამოვდნი!..—და გამწარებულმა მათემ საკინძი გადაიწია და ძვალ-ტყავად ქცეული გულმკერდი უჩვენა მემუსაიფეს. ონისიმემაც მწუხარედ გააქნია თავი და თავის გაქნევას ოხვრაც დააყოლა.

—ეს-ღა დაგვრჩენია—ჩვენვე გადაუხადოთ მაგიერი ჩვენს დამღუპველებს, რა-კი სამართალი უსინიდოსო კაცისაკენ ყოფილა! დაიწყო ისევ მათემ ლაპარაკი და თვალებში ბოროტმა ნაპერწკალმა გაუელვა. მეტი მოთმენა აღარა მაქვს! დედა-კაცისათვის არ მითქვამს, რომ ყურძენს მპარავენ, თორემ აღარ მომასვენებდა. ისეთაც გადამკიდებია, გინდა თუ არა დაკრიფეო, თან-და-თან დაცოტავდებაო, ნადირი შესჭამსო. მე-კი ვუცდი, პატარა კარგათ მოიწიოს, რომ რიგიანი წვენი ჩავასხა ქვევრში. ასე გამოდის, რომ „მგელის შიშით ცხვარი უნდა გავწყვიტოთ!“ თუ ასეა და კაცი ოთხფეხსავით მექცევა, მეც ავიღებ და ნადირსავით ზედ წავაკლავ გაოხრებულ სარჩო-საბადებელს!.. მათე ამ ლაპარაკის დროს თან-და-თან აღელვდა გაბრაზდა რადგანაც „გლეჯია“-ს გახსენებამ მთლად დაჩრდილა იმის წნანდელი სიამოვნება, მოუწამლა სული და გული და უსიამოვნო გრძნობა იმ ავაზაკის მიმართ, აქამდე მიყუჩებული, ეხლა ონისიმეს ამბების გამო, უფრო აზვირთდა, აღარ დაეტია თვის კალაპოტში და ნაპირებს გადმოედინა, რაც აშკარად გამოიხატა მათეს ათრთოლებულის ხმითა, სწრაფის მოძრაობითა და ლანძღვა-მუქარით.

— რა იყო? ვის უწყრები? ჰკითხა მათეს ცოლმა, რომელიც ქმრისა და ონისიმეს ლაპარაკის დაწყებისათანავე მარნისაკენ წავიდა და ეხლა, იმათკენ მოდიოდა სარცხლისა და ხაპირით ხელში.

— არაფერი. ისე, სოფლის საქმეებზედ ვლაპარაკობდით. დაუმალა ნამდვილი მათემ.

ამ დროს ჩამავალის მზის უკანასკნელმა სხივმა ერთხელ კიდევ გაუღიმა კავკასიონის ქედს, ერთის წუთით კიდევ მიანათა ბუმბერაზ მთებს თავისი შუქი და მერე სწრაფათ გამოემშვიდობა, რომ მეორე დღეს ისევ მისალმებოდა და კვლავ აეელვარებინა სხვა-და-სხვა ფერად მისი თოვლით ნაკვეთი მწვერვალები.

— უჰ, დამიგვიანდა! თითქმის ერთის ხმით დაიძახეს მათემ და ონისიმემ და ორივენი ფეხზედ წამოდგნენ. ონისიმემ გამოართვა მართას სარცხი და ხაპირი, მადლობა გადუხადა ცოლ-ქმარს ხელის გამართვისთვის და წავიდა.

მათეც დიდიხანი არ დარჩენილა შინ, ონისიმეს წასვლისათანავე შევიდა სახლში, მასრები წამალ-საფანტით გაივსო, გადაიგდო მხარზედ თოფი და გასწია ვენახისაკენ, რომელიც სოფლის შუა გულში იყო, სახლზე მოშორებით.

— კაცო, ამაღამ არ მოხვალ? რამდენი დღეა არა გძინებია. ნიკოს გამოგიგზავნი და შენ ამოდი, უთხრა მართამ მიმავალ ქმარს.

— რას ამბობ, დედა-კაცო? ნიკოს ანაბარად როგორ დავტოვო ვენახი? მერე ისიც ხომ ხვალ ადრიან სოფლის საქონელში უნდა წავიდეს. დღესაც დაღლილ-დაწყვეტილი მოვა შინ. სოფელს ემსახუროს, თუ მე? თუ ამ დენი მოვითმინე ამ ორს დღესაც გავძლებ. ამ სიტყვებით მათე ჭის კარში გავიდი, ცოლი-კი დერეფანში შეტრიალდა, საიდგანაც ბავშვის ტირილი მოესმა.

(შემდეგი იქნება)

„გრაჟდანინი“ ამტკიცებს რომ დანაშაული ვლადიმირის უბედურებისა თითონ Р. О. П. и Т. საზოგადოების ბრალი არისო, რადგანაც ეს საზოგადოება მხოლოდ იმას ჰფიქრობს, რომ გარეგნად კარგად იყოს გემი მოწყობილი და რამდენად გაუძლებს ის გაჭირვებას, ამას საზოგადოება სულაც არ დასდევსო. ანგარებამ და ფულის შოვნის სურვილმა ერთიანად გაიტაცა ეს საზოგადოება და ამიტომ იაფად უნდათ დაიქირავონ გამოუდეგარი მოსამსახურენიო. იაფად კაცის შოვნა, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ გაჭირვების დროს ამ გვარი კაცი საიმედო არ არისო.

ასე სჭირთ ყოველთვის იმათ, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ გროშით ყველაფრის გაკეთება, ყველაფრის შოვნა და ყველაფრის დამორჩილება შეიძლებაო.

**

„Кроншт. Вѣст.“-ი ვლადიმირის უფროსსა და ხომალდის მოსამსახურეთ სდებს ბრალს მომხდარ უბედურებისას. როგორც ჰმოწმობს ერთი დამსწრე ღენერალი ამ ამბისა, ამ ხომალდის მოხელენი სრულიად დაბნეულან და იმის ნაცვლად, რომ მოგზაურებისთვის ეშველნათ, პირველად თითონვე გადაცვივნულან იტალიის ხომალდზედ.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ავტორი სანდირო ამბებისა—ბრეტგარდა ერთს ახირებულს ამბავს მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს ზოგიერთი ავტორი თავისი ხაწერი დაახეჭდვინოს.

როდესაც რედაქტორად ვიყავი ჟურნალისა, ჩემთან ხშირად მოდიოდა ერთი კაცი და ყოველთვის მოჰქონდა ხელნაწერები დასაბეჭდადაო. მაგრამ ავტორს ისევ უკან ვუბრუნებდი ამ ხელნაწერებს და ისიც დიდის სათნოებით მიიღებდა ხოლმე. ერთხელ ეს კაცი მოვიდა ჩემთან და ასე მითხრა: თქვენ, ჩემო ბატონო! სულელი გგონივართ, თუ როგორაა თქვენი საქმე?!. მე განა არ ვიცი, რომ ჩემს ხელნაწერებს წაუკითხავად მიბრუნებთ უკან?!. მაგრამ გამლევთ პატიოსანს სიტყვას,—ამავე დროს ჯიბიდგან ამოიღო ლექსი და რევოლვერი,—ახლავე წაიკითხავთ ამ ლექსს, და ფიცხლად შეაყენა დამბაჩის ჩახმახი ფეხზედ, მეტი ღონე აღარ იყო და ლექსის კითხვა დავიწყე.

— როგორ მოგწონს? მკითხა მოძალე მგოსანმა.

— სამაგელია.

— მაშ არ დაიბეჭდება?

— არა!

— მე თქვენ გირჩევთ, ეს ლექსი ხვალინდელ №-ში დაბეჭდოთ, თორემ ცოფიან ძაღლსავით აქვე გაგათავებთ და ხელახლავ დამიმიზნა რევოლვერი.

ამ საშუალებამ გასჭრა და აღვუთქვი, რომ დავბეჭდავ-მეთქი.

რადგანაც წესად მაქვს ყოველი აღთქმა შევასრულო, ამიტომ ეს ლექსი დავბეჭდე, მაგრამ თან შენიშვნა წარვუმძღვარე: „რათა მკითხველებმა იცოდნენ, როგორი სულელობა მოგვდის ხოლმე დასაბეჭდად ჩვენს ჟურნალში-მეთქი, ამიტომ მოგვყავს აქ შემდეგი ლექსი და ლექსიც ამ სიტყვებს ქვეით იყო დაბეჭდილი.

მაგრამ ვიცოდი, რომ შემდეგისათვის ერთხილად უნდა ვყოფილიყავი და მეც რევოლვერი მოვიმზადე. ჯერ კიდევ ქაღალდი არ იყო გამშრალი, რომელზედაც ეხეჭდა ლექსი, რომ თავი შემოჰყო ჩემთან ამისმა ავტორმა, ვილლი ვილკენსმა. მე უნებლიედ დამბაჩას ვსტაცე ხელი. ვილკენსმა გადიხარხარა და ასე მითხრა: „დაგწყევლოთ ღმერთმა—თუმცა ძნელია თქვენი გამტყუნება, მაგრამ ნუთუ ჩემი ლექსი მართლა ისეთი უხეიროა?

— უხეიროზედ უხეიროა-მეთქი, შევმახე და მეტყობოდა ხმაზე, რომ ღრმად მრწამდა, რასაც გამბობდი.

— კარგია, მჯერა! თქვენ მაგისი მცოდნე ხართ და დაგეჯერებათ! გამლევთ პატიოსანს სიტყვას ამიერიდგან ერთს სტრიქონსაც აღარ დავსწერ და აჰა დასამტკიცებლად ჩემი ხელიო, და ხელი მომაწოდა. მეც სიამოვნებით ჩამოვართვი და ვფიქრობდი გულში, რომ ეს ერთი მსხვერპლი მწერლობისა მაინც გადავარჩინე განსაცდელს სამუდამოდა-მეთქი.

## კათალიკოზნი საქართველოს ეკკლესიისა
### (488—1811 წ.)

**ბესარიონ**. 1724—1735. თ. ორბელიანი. აღიზარდა ნათლისმცემლის უდაბნოში 1680 წლიდან, სადაც 1698 წ. მღვდელ-მონაზონად იყო და დიდად ილვაწა დავით გარეჯის უდაბნოს განახლებისა და ბერ-მონაზონთა შეკრებისათვის. იყო მტერი ვახტანგ VI და დიდი მეგობარი იესე მეფისა, რომლის შემწეობით დაქრთამა ისაყ-ფაშა და მიიღო კათალიკოზობა. იყო კაცი ფრიად მეცნიერი, ებრძოდა სომხებს. აღწერა ქართველთ „მამათ ცხოვრება“, „გრდემლი“ წინააღმდეგ ლათინთა სარწმუნოებისა, რომლის აღწერაში ეხმარებოდა ფრანგი ბერი ფრანჩისკო; საგალობელი კანონი მღვდელთ-მთავართა, საგალობელი და სვინაქსარი კვართისათვის უფლისა. მიიცვალა 1735 წ. ღვინობისთვეში.

**ნიკოლაოზ** 1742—1744 წ. თ. ხერხეულიძე, წინად ურბნელი. იხ. დომენტის ბოლოს აღრჩევა ნიკოლაოზისა. დომენტი რომ მიიცვალა, „ქართლის ხანმა (იმამყული) იასაული დააყენა კათალიკოზს ნიკოლაოზს და რაც მცხეთას საქონელი იყო, წირვის იარაღი, ანუ ეკკლესიისა, სულ თავისთან მიატანინა, უკეთურსა და ღვთის მოძულეს ვისმე დაებეზღებინა—კათალიკოზი რომ გარდაიცვალა, საქონელი სახელმწიფო არისო. მაგრამ საღმთრო ძალმა აღარ მიუშვა: ორბელიანი, სარდალი ქაიხოსრო და გივი ამილახვარი გულსმოდგინებით გაისარჯნენ, ისევ დაიხსნეს და მიაბარეს უკლებრივ კათალიკოზს საქონელი მცხეთისა“—ქ-ცხ. 350 გვ. 1743 წ. ნადირშაჰი სწერს ნიკოლაოზს და ნიკოლაოზი ყოჯახანმა გივ ამილახვართან გაგზავნა მოციქულად — შეგვრიგდიო. საქმე კარგა გაარიგა ნიკოლაოზმა. ქ-ცხ. 357 გვ. ჰპირდება—ჯარს მოგაშველებ ურჩთა დასამორჩილებლადო. Мцхет. акты 239 გვ. ყეენმა დიდი ხარჯი შეაწერა სამღვდელოებას, ეკკლესიებს და მონასტრებს; ბოლოს ეს ხარჯი აპატივა და მათ მაგიერ სომხებს გამოაღებინა. ქ ცხ. 354 გვ.

„ჟამსა ამას იქმნა ესრეთი განსაცდელი, რომელ არა სადა შემთხვეულ იყო ესე ვითარი, მით, რამეთუ ყოველთა შორის უბოროტესმან გომელმა ტარიელ თაზიშვილმა ხანჯლით მოკლა (ნიკოლაოზ) 1744 წ. და განლტოლვილი განიტვინა ქვემო სატიოსა რიყესა ზედა და ნაცვლად მისსა ჰყვეს კათალიკოზად ანტონი მეფის იესეს ძე“. ქ-ცხ. 371 და 501 გვ.

პ. ცხვილოელი

(შემდეგი იქნება)

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმათ, რომელთაც ფულით შემწეობა აღმოუჩინეს ცხინვალის სამკითხველოს. თავ. სარდიონ ამერეჯიბმა 2 მ., დურმიშხან ჟურულმა 2 მ., ნიკო ლომაურმა 2 მ., გორის მოქალაქემ მიხეილ ივანეს ძემ ტერ-მინასოვმა 5 მ., ნიკა ბრომლიშვილმა 2 მ., მიხეილ ყულიჯანოვმა 2 მ. და ნიკო ჭონიევმა 2 მ.

ცხინვალის სამკითხველოს მცველი გიორგობა ოვანიშვილი


# განცხადებანი

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

მ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

# ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.



ვერცხლისა

ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა.
ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა
**ტფილისში, იარმუკაზედ.**

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდას მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოევის სახლის კრიშა მწვანე ფერად-მედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად აკჭალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრომ საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას,

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყოველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—3 აღალო თუთაევი



# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


Дозволено цензурою Тифлисъ, 25-го Іюля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.